21

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 42/00 „27" ივნისი 2010 ქ. თბილისი

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი ჯერენაშვილი

„27 ივნისი" 2010 წელი

ეგზ.N2

ობიექტი: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური გასვლითი აუდიტი

პერიოდი: 01/01/2009-01/01/2010

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. 96
ტელ: +(995 32) 438-438; ფაქსი: +(995 32) 438-136; www.control.ge

საქართველოს კონტროლის პალატა

www.control.ge

ფინანსური აუდიტის აქტი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური გასვლითი აუდიტი

პერიოდი: 01/01/2009-01/01/2010

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

აპრილი, 2010

შინაარსი / საძიებელი

ნაწილი I. შესავალი	გვ. 3
ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	გვ. 4
ნაწილი III. ძირითადი ტექსტი	გვ. 4
1. წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით გათვალისწინებული ასიგნებების შესრულების მდგომარეობა	გვ. 4
2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა	გვ.7
3. მიღებული გრანტების აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა	გვ. 8
4. ფინანსური და არაფინანსური აქტივების და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება)	გვ. 8
დასკვნა	გვ. 10
ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.	გვ. 11
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	გვ. 11
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები, გამოყენებული კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები.	A

I. შესავალი

ფინანსური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 5 მარტის №22/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4

აუდიტის ჯგუფი - მთავარი აუდიტორი ავთანდილ ვასაძე (ჯგუფის ხელმძღვანელი); უფროსი აუდიტორი თეიმურაზ ფსუტური; აუდიტორი პაპუნა ხოფერია.

აუდიტის პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 09/03/2010 – 09/04/2010 (დაწყება-დამთავრება).

შემოკლებანი:

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - სამინისტრო.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი -სამინისტროს აპარატი.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულება დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბერის №206 დადგენილებით.

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო არის სამთავრობო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სახელმწიფოებრივ მართვასა და კოორდინაციას; სამთავრობო დაწესებულებების უცხო ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კოორდინაციას.
- სამინისტრო თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით,

საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონმდებლობით და სამინისტროს დებულებით.

- სამინისტროს დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

სამინისტროს სისტემა:

- სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
  -ცენტრალურ აპარატს ქმნის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები (დეპარტამენტები და სამსახურები); ცენტრალური აპარატის შემადგენლობაში შედიან საგანგებო დავალებათა ელჩები.
- საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფები (დიპლომატიური წარმომადგენლობები, საკონსულო დაწესებულებები);
- სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო.

II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

საგარეო საქმეთა სამინისტროს ბალანსზე ასახული აქტივების ნაშთი რეალურად არ ასახავს სამინისტროს აქტივების ფაქტობრივ მდგომარეობას. საბალანსო ანგარიშზე „სხვა ანგარიშები ბანკში" ნაშთად ირიცხება 263 986 ლარი, რომელიც წლების განმავლობაში წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალს.

III. ძირითადი ტექსტი

1. წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით გათვალისწინებული ასიგნებების შესრულების მდგომარეობა;

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები დაუმტკიცდა 66 270.0 ათასი ლარის ოდენობით[1]. აუდიტის პერიოდში

[1] საქართველოს კანონი (2009 წლის 4 დეკემბერი №2229-IIს) „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე"

განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაზუსტებულმა გეგმამ 66 414.9 ათასი ლარი შეადგინა. სამინისტროსთვის გამოყოფილი მთლიანი ასიგნებებიდან:

- „სუბსიდიების“ მუხლის ასიგნებების - 80.0 ათასი ლარის განკარგვა განხორციელებულია სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროს მიერ;
- „გრანტების“ მუხლის ასიგნებების - 5 014.19 ათასი ლარის განკარგვა განხორციელებულია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების ხარჯებისათვის;
- „საქონელი და მომსახურების“ მუხლში შემავალი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლის ასიგნებიდან 49 963.6 ათასი ლარის განკარგვა განხორციელებულია საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების მიერ.
- სხვა დანარჩენი ასიგნებების - 11 356.4 ათასი ლარის განკარგვა განხორციელებულია სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ.

სამინისტროსთვის დამტკიცებულ ასიგნებებში, 11 შემთხვევაში მუხლობრივი გადანაწილების მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 2 957.7 ათასი ლარი. აღნიშნული ცვლილებები განხორციელებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით და „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 51^3-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მუხლობრივი გადანაწილების მოცულობა არ აღემატება მთლიანი ასიგნებების 10%-ს.

2009 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაწეულმა საკასო ხარჯმა 66 104.7 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა 62 240.0 ათასი ლარი. ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის სხვაობა - 3 864.7 ათასი ლარი გამოწვეულია: წინა წელს გაწეული საკასო ხარჯის შესაბამისი

ფაქტობრივი ხარჯის მიმდინარე წელს გაწევით (წინა წელს წარმოშობილი დებიტორული დავალიანების ჩამოწერით ხარჯში); საწყობში არსებული მატერიალური მარაგების (საკანცელარიო, სამეურნეო საქონელი და მცირეფასიანი ინვენტარი) ნაშთის ზრდით; საწყობში ნაშთად რიცხული საწვავ-საპოხი მასალების შემცირებით; არაფინანსური აქტივების შეძენითა და წინასწარ გადახდილი ავანსებით (დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ოფისის და ბინის სადეპოზიტო თანხა); ძირითად აქტივებზე ფიზიკური და მორალური ცვეთის დარიცხვით; საკასო ხარჯის გაწევით წინა წლის კრედიტორულ დავალიანებათა შესამცირებლად.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს დაზუსტებული გეგმით განესაზღვრა 11 356.4 ათასი ლარის ასიგნებები. ვალდებულება აღებული იქნა 11 241.6 ათასი ლარის ოდენობით, გადახდა (საკასო ხარჯი) მოთხოვნის ტოლია და 11 091.5 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო ფაქტობრივი ხარჯი გაწეული იქნა 9 730.5 ათასი ლარის ოდენობით.

საბალანსო ანგარიშებზე ასახული ფინანსური ოპერაციებისა და რიცხული ნაშთების აუდიტით გამოვლინდა:

- 1215 საბალანსო ანგარიშზე - „სხვა ანგარიშები ბანკში“ 263 986 ლარის ოდენობით ნაშთი რეალურად ვერ ასახავს სამინისტროს აქტივების ფაქტობრივ მდგომარეობას და შესაბამისად სამინისტროს აქტივები 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 263 986 ლარით ნაკლებს შეადგენს. სამინისტროს განმარტებით, ამ ანგარიშზე 1992 წლიდან უცვლელად აღირიცხება 263 986 ლარის ოდენობის (205 917.87 აშშ დოლარი) ნაშთი. აუდიტის პროცესში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 2010 წლის 25 მარტის N18-04-14/490/3977 წერილით წარმოდგენილ იქნა განმარტება, რომლის მიხედვითაც: „სსრკ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის ყოფილი თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება აღიარებულია სახელმწიფო საშინაო ვალად“, ასევე

აღნიშნულია, რომ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ს/ს გაერთიანებული ქართული ბანკის მიერ 2002 წლის 11 ოქტომბრის N3-14-04/210-2245 გამოგზავნილი წერილის თანახმად სსრკ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის ქ.თბილისის განყოფილების ბალანსზე ირიცხებოდა საქართველოს საგარეო სამინისტროს კუთვნილი ბლოკირებული თანხა 205 917.87 აშშ დოლარის ოდენობით."

- 3231; 3234; 3246[2] საბალანსო ანგარიშებზე აღრიცხული კრედიტორული დავალიანებიდან 63.1 ათასი ლარი წარმოშობილია 2004-2007 წლებში.

რეკომენდაცია

- საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურთან ურთიერთთანამშრომლობით განახორციელოს სამინისტროს 1215 საბალანსო ანგარიშზე - „სხვა ანგარიშები ბანკში" - რიცხული 263 986 ლარის (205 917.87 აშშ დოლარი) დაფარვასთან ან ხარჯებში ჩამოწერასთან დაკავშირებული ღონისძიებები, რომ სამინისტროს ბალანსი რეალურად ასახავდეს სამინისტროს აქტივების ფაქტობრივ მდგომარეობას.

- საგარეო საქმეთა სამინისტრომ, წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების შესაძლო დაფარვის მიზნით მიმართოს ფინანსთა სამინისტროს „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა;

2009 წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 7 შემთხვევაში გამოყოფილია 144.3 ათასი ლარი, ხოლო საქართველოს მთავრობის

[2] 3231- „გადასახდელი ხელფასი შტატით"; 3234 – „ვალდებულებები მივლინებით"; 3246 – „სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებანი"

სარეზერვო ფონდიდან სამინისტროს 1 შემთხვევაში გამოეყო 0.6 ათასი ლარი[3]. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებიდან საკასო და ფაქტობრივი ხარჯები გაწეულია „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების" მიერ მათთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. შესაბამისად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები ინახება დიპლომატიურ დაწესებულებებში.

3. მიღებული გრანტების აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა;

2009 წლის განმავლობაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, გრანტის სახით საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების ხარჯებისათვის დაზუსტებული გეგმით განესაზღვრა 5 014.9 ათასი ლარის ასიგნებები. საკასო და ფაქტობრივმა ხარჯებმა 300 ლარით ნაკლები შეადგინა. საკასო ხარჯიდან (5 014.6 ათასი ლარი) 78 საერთაშორისო ორგანიზაციაზე[4] საწევრო შენატანის სახით გადარიცხულია 3 231.4 ათასი ლარი. 2009 წლამდე არსებული საწევრო გადასახადების გადაუხდელობით დაგროვილი დავლიანებების დასაფარავად გადარიცხულია 1 783.2 ათასი ლარი.

4. ფინანსური და არაფინანსური აქტივების და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება).

სამინისტროს ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანების ზრდა (1 452.7 ათასი ლარი) ძირითადად გამოწვეულია საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების მიერ საოფისე ოჯარის თანხის წინასწარ გადახდით, როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ მოსამსახურეებზე ავანსის სახით ბინის დაქირავებასთან დაკავშირებით საავანსო თანხების გაცემითა და შეძენილ საქონელზე, წინასწარ

[3] საქართველოს მთავრობის 2009 წლის 10 თებერვლის N76 განკარგულებით, ვალერიან ადვაძის „ღირსების ორდენით" დაჯილდოებასთან დაკავშირებით, გაცემულია ფულადი პრემია. (18.02.2009 ხარჯთაღრიცხვის ცნობა №15) ცენტრალური აპარატის ხარჯებიდან.

4 ორგანიზაციებზე, ან ამ ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ კონვენციებზე, კომისიებზე, ღონისძიებებზე და ა.შ.

დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდით. ასევე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ნოეტექი"-ს ანგარიშზე, სამინისტროს ოფისისათვის ელექტრო მოწყობილობების 2010 წლის განმავლობაში მიწოდების მიზნით (2009 წლის 15 დეკემბრის №1-1/ს ხელშეკრულება) 324.9 ათასი ლარის წინასწარი გადახდით.

კრედიტორული დავალიანებების კლება (346.1 ათასი ლარი) ძირითადად გამოწვეულია საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების მიერ ლიზინგის წესით არაფინანსური აქტივების შეძენით.

2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არაფინანსური აქტივების (ძირითადი აქტივები) ნაშთი შეადგენდა 16 921.5 ათას ლარს. 2009 წლის განმავლობაში შესყიდვით მიღებამ შეადგინა 4 653.8 ათასი ლარი[5], სხვა ეკონომიკური ნაკადებით მიღებამ (საკურსო სხვაობები) 921.6 ათასი ლარი, იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან აქტივების უსასყიდლოდ მიღებამ შეადგინა 830.4 ათასი ლარი. ამავე პერიოდში უსასყიდლოდ გადაცემულია იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე აქტივები 668.6 ათასი ლარის ღირებულებით[6], „ძირითადი კაპიტალის მოხმარები"-ს მუხლში ფაქტობრივი ხარჯის წარმოშობა 2 735.1 ათასი ლარის ოდენობით, გამოწვეულია ძირითად აქტივებზე ფიზიკური და მორალური ცვეთის დარიცხვით და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არაფინანსური აქტივების (ძირითადი აქტივები) ნაშთმა შეადგენდა 19 923.6 ათასი ლარი.

---

[5] შესყიდვით მიღებული 4 653.8 ათასი ლარიდან ცენტრალური აპარატის მიერ „არაფინასური აქტივების ზრდის" მუხლის ასიგნებიდან გახარჯულია 1 634.5 ათასი ლარი (შესყიდვით მიღებულია 1 906.0 ათასი ლარის აქტივები წინა წელს გაწეული საკასო ხარჯის გათვალისწინებით), ხოლო „საქონელი და მომსახურების" მუხლის ასიგნებიდან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების მიერ მიღებულია აქტივები 2 747.8 ათასი ლარის ოდენობით.

[6] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 30.12.2008 წლის №212, 11.02.2009 წლის №36 და 16.10.2009 წლის №195 ბრძანებების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოზე უსასყიდლოდ გადაცემულია 217.1 ათასი ლარის და საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურზე 25.1 ათასი ლარის სატრანსპორტო საშუალებები, საქართველოს საელჩოზე პოლონეთის რესპუბლიკაში 312.4 ათასი ლარის არასაცხოვრებელი შენობები.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წმინდა ღირებულება წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 19 804.7 ათას ლარს, წლის ბოლოსათვის კი 24 465.9 ათას ლარს. წმინდა ღირებულების ზრდა (71 614.1 ათასი ლარი) ძირითადად განაპირობა ბიუჯეტიდან მიღებულმა დაფინანსებამ, შემოსავლებმა, ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების უსასყიდლოდ მიღებამ, სხვა ეკონომიკური ნაკადებით მიღებამ. შემცირების მიმართულებით (66 952.9 ათასი ლარი) იმოქმედა ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა მომუშავეთა ანაზღაურება, საქონლისა და მომსახურების გამოყენება, ძირითადი კაპიტალის მოხმარება, სუბსიდიებმა, გრანტებმა, სოციალური უზრუნველყოფის და სხვა ხარჯებმა, აქტივების უსასყიდლოდ გაცემამ, სხვა ეკონომიკურმა ნაკადებმა და ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებებმა (ბიუჯეტში მოსაკრებლების შეტანა).

დასკვნა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ფინანსური აუდიტის შედეგად გამოვლენილი ფაქტების საფუძველზე, გარდა I პუნქტში მოყვანილი საკითხისა (1215 საბალანსო ანგარიშზე რიცხული არარეალური ნაშთი), 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგენილი წლიური ბალანსი სამართლიანდ წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას.

IV აუდიტის აქტის სამართლებლივი სტატუსი, პაუხისმგებლობები და უფლებამისილებანი.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მთავარი აუდიტორი:	ხელმოწერა/თარიღი
ავთანდილ ვასაძე	27.05.2010 წ.
უფროსი აუდიტორი:	ხელმოწერა/თარიღი
თეიმურაზ ფსუტური	27.05.2010 წ.
აუდიტორი:	ხელმოწერა/თარიღი
პაპუნა ხოფერია	27.05.2010 წ.

დანართი A - აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები, გამოყენებული კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები.

ფინანსური აუდიტის პერიოდში, სამინისტროში პასუხისმგებელი პირები იყვნენ:

გრიგოლ ვაშაძე - საგარეო საქმეთა მინისტრი

გიორგი ბოკერია - საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე

ლევან დავითულიანი - საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

ნინო კალანდაძე - საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

დავით ჯალაღანია - საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

ალექსანდრე ნალბანდოვი - საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

გელა ბუკია - ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი

მაია ჩოხელი - საბიუჯეტო აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის უფროსი

მარიამ როსტომაშვილი - ბიუჯეტის დაგეგმვისა და მართვის სამსახურის უფროსი

ფინანსური აუდიტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით განმარტებებს იძლეოდნენ:

გელა ბუკია - ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი

მაია ჩოხელი -საბიუჯეტო აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის უფროსი

მარიამ როსტომაშვილი - ბიუჯეტის დაგეგმვისა და მართვის სამსახურის უფროსი

აუდიტის პროცესში გამოყენებული კანონ მდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები:

საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ";

საქართველოს კანონები „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" და „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ";

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ";

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2008 წლის 30 დეკემბის N211 ბრძანება „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების წესის შესახებ";

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 12 თებერვლის N129 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის შესახებ";

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 19 სექტემბრის N1064 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ"

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ".